პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1975 ოთხშაბათი 26 ნოემბერი № 277 (16403) ფასი 2 კაპ. 1975

თბილისის მრეწველობამ შეასრულა ხუთწლედი

ქალაქ თბილისის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, ვადამდე, მიმდინარე წლის 25 ნოემბერს შეასრულეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მეცხრე ხუთწლედის გეგმა. (საქინფორმი).

ყოველი დღე — დამკვრელური!

თბილისელთა ნობათი — დედა-სამშობლოს!

თბილისს მრეწველობის მუშაკებმა ხუთწლიანი გეგმა 25 ნოემბერს შეასრულეს. ათ თვეში, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 50 მილიონი მანეთისა, გამოშვებულია 53,6 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. სახელი და დიდება მეცხრე ხუთწლედის მოწინავე ადამიანებს!

ხუთწლედის გმირები

თბილისის მრეწველობის მოწინავე ადამიანები, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს პირადი ხუთწლიანი გეგმები (მარცხნიდან): თბილისის ხ. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მკერავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რუსუდან ციცაგი, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გიორგი აურტანიძე, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელო ქარხნის ხარატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ზურაბ სარალიძე, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ზოთა ჯოხაძე, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მემოდელე, სოციალისტური შრომის გმირი ვასილ ბოროდავკა, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის „ნარიყალას“ მუშა, ლენინის ორდენის კავალერი ევგენია გალუსტოვა, თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ ქვეოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვერა ქუმაშვილი.

ვლ. ბინზაურის ფოტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მილოცვა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოწვეებით 25 ნოემბერს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა საქართველოს სსრ მეგობრული ურთიერთობა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გუსტავ ჰუსაკი მეთაურობით.

ოფიციალურ შემადგენლობაში ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე იოზეფ შტროუგალი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვასილ ბილაკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე იოზეფ ლენარტი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ვაცლავ გულა და სხვები.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით აეროდრომზე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ბარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს დაჰვედრნენ სსკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სსკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი ა. ა. გრეჩკო, სსკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ვ. გრიშინი, სსკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სხვა ოფიციალური პირნი.

აეროდრომზე დელეგაციის დასახვედრად მოვიდნენ მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები. სპეციალურ სტუმრების ჩამოსვლის გამო ჩამწკრივებული იყო სამი სახეობის შეიარაღებული ძალების — ქვეითი ჯარისკაცების, მფრინავების, მეზღვაურების საპატიო ყარაული.

12 საათზე თვითმფრინავი მოეფინა ჯდება. ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. კირილენკო, ა. ა. გრომიკო, ა. ა. გრეჩკო ვ. ვ. გრიშინი, კ. თ. კატუშევი ვალედამდა, ძმურად მიესალმებიან თვითმფრინავის კიბესთან ამხანაგ გ. ჰუსაკს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სხვა პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს.

საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელმა პირნერებმა ძალიფას სტუმრებს ყვავილები მიართვეს. საპატიო ყარაულს უფროსმა უპატაკა მიტინგის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო, სსკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სხვა ოფიციალური პირნი.

აეროდრომზე დელეგაციის დასახვედრად მოვიდნენ მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები. საპატიო სტუმრების ჩამოსვლის გამო ჩამწკრივებული იყო სამი სახეობის შეიარაღებული ძალების — ქვეითი ჯარისკაცების, მფრინავების, მეზღვაურების საპატიო ყარაული.

12 საათზე თვითმფრინავი მოეფინა ჯდება. ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. კირილენკო, ა. ა. გრომიკო, ა. ა. გრეჩკო ვ. ვ. გრიშინი, კ. თ. კატუშევი ვალედამდა, ძმურად მიესალმებიან თვითმფრინავის კიბესთან ამხანაგ გ. ჰუსაკს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სხვა პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს.

საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელმა პირნერებმა ძალიფას სტუმრებს ყვავილები მიართვეს. საპატიო ყარაულს უფროსმა უპატაკა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურს გ. ჰუსაკს. ეღერს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და გ. ჰუსაკმა ჩამოიარეს საპატიო ყარაულის მწყობრს. დედაქალაქის მმრომელთა წარმომადგენლები მხურვალე ტაშით მიესალმნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევსა და გ. ჰუსაკს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სხვა ხელმძღვანელ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს. გაისმის შეძახილები ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პატივისცემად. ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი და გ. ჰუსაკი გულითადად მიესალმნენ მოსკოველებს. შეხვედრის საზეიმო ცერემონია დამთავრდა საპატიო ყარაულის გაკლით.

აეროდრომიდან მოტორკადებლებთა საპატიო ესკორტით ამხანაგები გ. ჰუსაკი, ლ. შტროუგალი ამხანაგებთან ლ. ი. ბრეჟნევთან, ნ. ვ. პოდგორნისთან, ა. ნ. კოსიგინთან ერთად, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრები ავტომანქანებით კრემლის რეზიდენციაში გაემართნენ. დედაქალაქის ქუჩები და მოედნები, რომლებითაც ავტომანქანების კორტეჟმა ჩაიარა, მორთული იყო ორი ძმის ქვეყნის სახელმწიფო ალმებით, მისასალმებელი ტრანსპარანტებით.

ათიათასობით მოსკოველი გამოვიდა საზეიმოდ მორთულ ქუჩებში, რათა მხურვალედ მისალმებოდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, გამოეთქვა ჩეხოსლოვაკიის ხალხებისადმი საბჭოთა ხალხის ძმური და ურღვევი მეგობრობის გრძნობები. მათ ხელში ეჭირათ ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევის, გ. ჰუსაკის პორტრეტები, ყვავილები, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ალმები, წითელი ტოლოები, რომლებზეც წარწერილი იყო მისალმებები ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პატივისცემად, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის აღსანიშნავად. (საკრედსი).

სურათზე: აეროდრომზე შეხვედრის დროს.

საკრედსი-საქინფორმის ტელეფოტო.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐ VI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან სსრ კავშირის არქიტექტორთა VI ყრილობის მონაწილეებსა და ყველა საბჭოთა ხუროთმოძღვარს.

თქვენი ყრილობა იმ დროს მიმდინარეობს, როცა საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აქტიურად იბრძვის მეცხრე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა შესრულებისა და სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. სწრაფი ტემპით ვითარდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, წარმატებით წყდება ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების ამოცანები. მეცხრე ხუთწლედში აშენდა და ამოქმედდა ასობით დიდი სამრეწველო საწარმო, ფართო მასშტაბით წარმოებს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა. საბჭოთა არქიტექტორები ამ გრანდიოზული აღმშენებლობითი მუშაობის უშუალო მონაწილენი არიან.

საბჭოთა ხუროთმოძღვრების V ყრილობის შემდეგ განვლილი წლებისათვის დამახასიათებელია არქიტექტურის შემდგომი აღმავლობა ჩვენს ქვეყანაში. დიდი შეფასება ხვდა საბჭოთა არქიტექტორების ნამუშევრებს, რომლებიც მასობრივ ინდუსტრიულ საბინაო მშენებლობას უკავშირდება. მათ შორის არის ლენინური არემაით დაჯილდოებული ქალაქ ვილნიუსის ლაზდინაის რაიონის არქიტექტურული კომპლექსი, სახელმწიფო პრემიებით აღინიშნა ქალაქების ტოლიატისა და ზელენოგრადის, ბელორუსიის დაბა ვირტილიშკის და მთელი რიგი სხვა საცხოვრებელი განაშენიანების ანსამბლები. ბევრი საინტერესო და ეკონომიური გადაწყვეტა იპოვეს ხუროთმოძღვრებმა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და კომპლექსების არქიტექტურაში.

დიდი და პასუხსაგებია არქიტექტორთა, მშენებელთა და დამპროექტებელთა ამოცანები მეათე ხუთწლედში. სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის, თვითეული არქიტექტორის საპატიო ვალი და მოვალეობაა განუბრელად იღვწოდნენ იმისათვის, რომ გადაჭრით გაუმჯობესონ მშენებლობის ხარისხი, მოახმარონ შემოქმედებითი ენერგია თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების, ლამაზი და კეთილმოწყობილი ქალაქებისა და სასოფლო დაბების შექმნას, ხელი შეუწყონ იმას, რომ საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობებისა და სხვა ნაგებობათა პროექტები უზრუნველყოფდეს საბჭოთა ადამიანების შრომისა და დასვენების კარგ პირობებს. თანამედროვე პირობებში, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, „...იქმნება შესაძლებლობა, რომ მეტი ყურადღება დაეთმოს მშენებლობის ხარისხს, მინების მოსახერხებელ დაგეგმარებას, პროსპექტების, უბნების, საზოგადოებრივი შენობების გარეგნულ ერს“.

არქიტექტორებმა, დამპროექტებლებმა, ყველა მშენებელმა კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთონ, რომ ყველგან ნორმად იქცეს სახელმწიფო სახსრებისა და მატერიალური რესურსების ხარჯვისადმი ყაირათიანი დამოკიდებულება. მეურეგებელი ბრძოლა უყაირათობის, ყოველგვარი ზედმეტობის გამოელინებათა და მფლანგველობის წინააღმდეგ, ზუსტად ითვალისწინებდნენ გარემოს დაცვის მოთხოვნებს.

საბჭოთა არქიტექტურის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება არქიტექტორთა ოსტატობის, შემოქმედებითი ინიციატივისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას, მათს უნარს გამოიყენონ არქიტექტურულ პრაქტიკაში ინდუსტრიული შენებლობის მეთოდები, ახალი მასალები და კონსტრუქციები, პატიოსანი-მთა ეკიდებოდნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა პრაგრესულ არქიტექტურულ მემკვიდრეობას. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დამპროექტებელთა, არქიტექტორთა და მშენებელთა ცალკეული კოლექტივების შემოქმედებითი ინიციატივა ფართოდ იყოს გამოყენებული მასობრივ მშენებლობაში, აისახოს ჩვენი ქვეყნის ყველა ხუროთმოძღვრის საქმიანობაში.

საბჭოთა არქიტექტურის შემდგომი განვითარება მოითხოვს არქიტექტურულ-სამშენებლო მეცნიერების როლის ამაღლებას, მშენებლობის მოწინავე გამოცდილების ფართო განზოგადებას, ხუროთმოძღვართა მოღვაწეობაში სოციალისტური რეალიზმის მეთოდის შემოქმედებითს გამოყენებას. საბჭოთა არქიტექტორებმა უნდა შექმნან ხუროთმოძღვრების ისეთი ქმნილებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ჩვენს ადამიანებში მაღალი იდეურ-ზნეობრივი თვისებების, სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობის განვითარებას, გაამდიდრებს მათს სულიერ სამყაროს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის არქიტექტორთა VI ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას უსურვებენ და გამოთქვამენ რწმენას, რომ საბჭოთა ხუროთმოძღვრები მთელ ძალღონესა და შემოქმედებითს ენერგიას მოახმარენ საბჭოური არქიტექტურის შემდგომ განვითარებას და ღირსეულ წვლილს შემატებენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით 25 ნოემბერს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა საქართველოს სსრ მეგობრული ურთიერთობა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გუსტავ ჰუსაკი მეთაურობით.

ოფიციალურ შემადგენლობაში ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე იოზეფ შტროუგალი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვასილ ბილაკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლენარტი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ვაცლავ გულა და სხვები.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით აეროდრომზე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ბარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს დაჰვედრნენ სსკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სსკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი ა. ა. გრეჩკო, სსკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ვ. გრიშინი, სსკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სხვა ოფიციალური პირნი.

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡᲐ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ 25 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში დარბაზობა გაუმართეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჰუსაკი.

დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები გ. ჰუსაკი, ლ. შტროუგალი, ვ. ბილაკი, ი. ლენარტი, ი. კორჩაკი, ვ. გულა, ი. გაველკა, ა. კავრუშა.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. გრეჩკო, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. ა. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ხ. პოლიანსკი, მ. ა. ხუსლოვი, ჰ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ი. დოლგიხი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეები, სსრ კავშირის მინისტრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, მხედართმთავრები, სხვა ოფიციალური პირნი.

დარბაზობას დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

სტუმარი წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲘ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს მოსკოვში მხურვალედ მივესალმებით ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს ჩვენი მეგობარი, სოციალისტური თანამეგობრობისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ამხანაგი გუსტავ ჰუსაკი.

გულწრფელად გვახარებს, რომ კვლავ შეგხვდით ჩვენს კარებზე — ამხანაგებს შტროუგალს, ბილიაკს, ლენარტს, კორჩაკს, გულასა და დელეგაციის სხვა წევრებს.

უკვე დიდი ხანია ტრადიციული გახდა ჩვენი ქვეყნების ხელმძღვანელთა შეხვედრები. მაგრამ სავსებით გასაგებია, რომ პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი განსაკუთრებული საქმეა, ამგვარი ვიზიტები არცთუ ისე ხშირია. ისინი არათუ საშუალებას გვაძლევს, არამედ გვავალებს უფრო ფართოდ და მასშტაბურად ვადავხედოთ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობას, განვითარებას. შეგაჯამოთ მისი შედეგები დროის დიდი მონაკვეთის მანძილზე, დავსახოთ მომავლის ამოცანები.

უკანასკნელი წლები — და ეს საჭიროა აღინიშნოს უწინარეს ყოვლისა — გახდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ნამდვილად ძმური კავშირურთიერთობის შემდგომი განმტკიცების პერიოდი. არ ყოფილა და არ არის თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარების არცერთი საკითხი, რომლებზეც ჩვენი შეხედულებები და განზრახვები მთლიანად არ ემთხვეოდეს ერთმანეთს.

ყველა ასეთ საკითხს ჩვენი პარტიები წყვეტენ სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პოზიციებიდან თავიანთი ხალხების

(დასასრული მე-2 გვ.).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐ VI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ

ᲒᲐᲠᲘᲮᲡᲜᲐ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

25 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის არქიტექტორთა VI ყრილობამ.

ყრილობის დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ ამხანაგებს თ. დ. კულაკოვს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ი. დოლგიხს, ი. ვ. კაპიტონოვს.

საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად ირჩევენ სსკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სსკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ბ. მ. ორლოვმა.

26 ნოემბერს სსრ კავშირის არქიტექტორთა ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

1975 წლის 26 ნოემბერს დღის 2 საათზე ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲖᲛᲘᲡ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲐᲖᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ, ᲡᲝᲠᲗᲘᲡᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲡᲐᲪ ᲘᲧᲝ 1905-1907 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ 70-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ.

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ:

3. ი. ლენინი რუსეთის პირველი რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობის შესახებ (მომხსენებელი — სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ბ. ბ. ლარიბჯანიანი).

ომპერიალიზმის ეპოქის პირველი ხალხური რევოლუცია (მომხსენებელი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბ. კ. ქმანია).

ამერიკაკავკასიის ბოლშევიკები მშრომელთა ინტერნაციონალური შეკავშირებისათვის ბრძოლაში რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში (მომხსენებელი — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ა. ა. ჯუსეინოვი).

ამერიკაკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის ხათაგეში 1905-1907 წლებში (მომხსენებელი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მ. ვ. ცერცვაძე).

რუსეთის პირველი რევოლუციის ასახვა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში (მომხსენებელი — ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ბ. დ. ეღენტი).

სესია გაიმართება ინსტიტუტის საქტო დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, 29).

დარგაზოგა კრემლში

(დასასრული).

ინტერესებისათვის, სოციალისტური თანამეგობრობისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განმტკიცების ინტერესებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის.

ამ ერთიანობის ფესვებად, ჩვენს შორის დამყარებული გულწრფელობის, ნდობისა და თანასწორუფლებიანი ამხანაგური თანამშრომლობის ატმოსფეროს სათვეად საშართლიანად მიგვაჩნია მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი ჩვენი პარტიების ერთგულება, ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ინტერნაციის ერთიანობა, ჩვენი ურღვევი კლასობრივი სოლიდარობა.

უკანასკნელი წლები აღინიშნა სამოკავშირეო ურთიერთობის განმტკიცებით, რომელიც ეი უკვე სამი ათწლეულია ერთიანებს ჩვენს სახელმწიფოებს. ფართოდება და მტკიცდება ჩვენი სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში. არა ყოფილა და არც შეიძლება იყოს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის ისეთი საკითხი, რომელშიც საბჭოთა კავშირი და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა არ გამოდიოდნენ საერთო პოზიციებიდან.

მნიშვნელოვნად გამრავლდა ჩვენი ხალხების სულიერი ურთიერთობის მდიდარი ტრადიციებიც. შეიქმნა ვრცელი ქსელი პარტიულ ორგანიზაციებს, ქალაქებს, რაიონებს, საწარმოო კოლექტივებს შორის და დამყარდა ნამდვილად ადამიანური კონტაქტები ქალაქებისა და სოფლების წარმოების მოწინავეებს, განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეებს შორის.

უდიდესი გაქანება და, მნიშვნელოვანწილად ახალი თვისება შეიძინა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობამ. იგი ახლა ვითარდება თანამშრომლობის მაღალი ფორმების გამოყენებით. ეს ფორმებია: სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაცია, წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება, ერთობლივი კვლევის ორგანიზაცია, დიდი ეკონომიკური პროექტების განხორციელებისათვის რესურსების გაერთიანება.

საბჭოთა კომუნისტები, ჩვენი ქვეყნის ხალხები ამაყობენ იმით, რომ ჩეხოსლოვაკიელი კომუნისტების, ჩეხოსლოვაკიის ხალხის სახით მათ ჰყავთ საამედო მეგობრები, რომლებთანაც საერთო გზით მიდიან, საერთო აზრებით ცხოვრობენ, საერთო მიზნებს ესწრაფვიან. ჩვენ ვთხოვთ, ამხანაგებო, გადასცეთ თქვენს პარტიასა და ჩეხოსლოვაკიის ხალხს უმხურვალესი, ძმური სალამი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტისაგან, ჩვენი ქვეყნის მშრომელებისაგან!

ჩვენ გვაბარებს, რომ თავის XV ყრილობას ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია კარგი შედეგებით ეგებება საზოგადოების ცხოვრების ყველა დარგში. ჩვენ გვახარებს, რომ გადალახეს რა კრიზისის შედეგები, რომელიც თავს დაატეხეს ქვეყანას სოციალიზმისადმი მტრულმა ძალებმა, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტებმა თავიანთი სამშობლო დააყენეს სწრაფი და ყოვლისმომცველი პროგრესის გზაზე და ახლა განეთარებული სოციალისტური საზოგადოების ამენების ახალ დიდმნიშვნელოვან ამოცანებს სახავენ.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, სრულ წარმატებას ამ გზაზე! დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ პირნათლად გადაწყვეტთ ამოცანებს, რომლებიც დაისახეთ.

პატივცემულო ამხანაგებო! ჩვენ დიდად ვაფასებთ სოციალისტურ ჩეხოსლოვაკიასთან, ყველა მოძმე სოციალისტურ ქვეყანასთან თანამშრომლობას საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღებისათვის, ახალი მსოფლიო ომის საფრთხისაგან კაცობრობის ხსნისათვის, მტკიცე მშვიდობისათვის. ბრძოლის დიდ და ძნელ საქმეში, მშვიდობისათვის, რომელიც როგორც სანათლე, როგორც ჰაერი, როგორც თვით სიცოცხლე სჭირდება ყველა ხალხს. ამ მაღალი მიზნისათვის ბრძოლაში უკვე ბევრს მივალწიეთ. მაგრამ გამოცდილება სულ უფრო ცხადად გვიჩვენებს, რომ ამ გზაზე შეჩერება არ შეიძლება, რადგან დაძაბულობის შენელებასა და სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების ქვეყნების სახელმწიფოთა ურთიერთობის გაუმჯობესებასთან ერთად იზრდება დაძაბულობის შენელებისადმი წინააღმდეგობა ამპერიალისტის თანამშრომლობა, კლასობრივი სიძულვილით დაბრმავებული წრეებისა და მათი ამყოფი რენეგატების მხრიდ, რომელმაც უღალატეს სოციალისტურ საქმეს.

დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგენი, დასავლეთის ეგრეთ წოდებული „მკაცრი გეზის“ და „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის მქადაგებელნი ამჟამად ცხოვრობენ ილუზიის სამყაროში, მოწყვეტილი არიან რეალურ სინამდვილეს. ისინი ცდილობენ საშიშ გზაზე დაიყენონ თავიანთი ქვეყნები. რა შეუძლიათ მათ შესთავაზონ ხალხებს მშვიდობის განმტკიცებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარების ნაცვლად. მხოლოდ ერთი რამ: „ცივი ომისაკენ“ და ცხელი ომის ზღვარზე სულ უფრო რისკიანი ბალანსირებისაკენ დაბრუნება. მესამე გზა არ არსებობს. საკირო, რომ ეს ყველას კარგად ესმოდეს.

მაგრამ ჩვენ გვკერა, გონების სქემის, მშვიდობის სქემის გამარჯვება. გადამწყვეტ წინააღმდეგობას ვუწევთ რა დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეებს, საიდანაც უნდა გაისმოდეს მათი ხმა, ჩვენ კვლავაც შეუპოვრად ვიმუშავებთ ისტორიული მიზნისათვის — ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებისათვის. ვიმუშავებთ იმ შეგნებით, რომ ეს პოლიტიკა გამოხატავს მოძმე სოციალისტური ქვეყნების ნებას, რომ მას ახარს უკერენ მშვიდობისა და პროგრესის მთელი ძალები, და ჩვენ ვიცით, ძვირფასო ჩეხოსლოვაკიელო მეგობრებო, რომ ამ დიდ საქმეში — ისევე, როგორც ყოველ სხვა საქმეში — ჩვენ თქვენთან ერთად ვადგავართ საერთო გზას, თავიდან ბოლომდე.

ნება მიბოძეთ დასასრულ გამოვთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელობის ახალი შეხვედრის შედეგები ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების ძმური ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებასა და განვითარებას, ჩვენი ხალხების მეგობრობის კიდევ უფრო გაძლიერებას.

ვადღეგრძელებ ამხანაგ ჰუსაკს, ვადღეგრძელებ ჩეხოსლოვაკიის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყველა წევრს!

ვადღეგრძელებ მოძმე ჩეხოსლოვაკიელ ხალხს და აყვავებას ვუსურვებ მის სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს ურღვევ მეგობრობას!

სპასუხო სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ამხანაგმა გ. ჰუსაკმა.

ამხანაგ გ. ჰუსაკის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ!

ძვირფასო ამხანაგო პოდგორნი!

ძვირფასო ამხანაგო კოსიგინ!

პატივცემულო საბჭოთა მეგობრებო, ამხანაგებო!

გულწრფელი სიხარულით მივიღეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევა ჩამოსულიყავით თქვენს შესანიშნავ და ყველა ჩვენგანისათვის ესოდენ ახლობელ ქვეყანაში.

უაღრესად მოგვხიბლა გულღია მასპინძლობამ, რომელიც დღეს გაგვიწიეს მოსკოვში საბჭოთა ხალხმა და მისმა ხელმძღვანელებმა. კვლავ დაგიწმუნდით, რომ საეჭვესო მეგობართა შორის ვიმყოფებით.

გულითად მადლობას გიხდით თქვენ, ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ, იმ გულთბილი, ამხანაგური სიტყვებისათვის, რომლებიც წარმოთქვით ჩვენი კომუნისტური პარტიის, ჩვენი ქვეყნისა და მისი ხალხის შესახებ. ამავე დროს ნება მიბოძეთ ძმურად მივესალმო საბჭოთა კომუნისტებსა და დიდი საბჭოთის მთელ ხალხს.

წლეულს აღვნიშნეთ მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვებისა და სახელოვანი საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 30-ე წლისთავი. ჩვენს ხალხებს მარად ეხსომებათ საბჭოთა კავშირის გმირული ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ, რომლის შეფუსრამაც თავისუფლება მიანიჭა ჩვენს ხალხს, გაუკაფა სოციალიზმის შენებლობის გზა.

წლეულს შესრულდა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ახალი ხელშეკრულების ხელმოწერის მეხუთე წლისთავი. სრულიაა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, იმიერ როგორც 1943 წლის დეკემბერში დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულება, ეს ახალი დოკუმენტი ჩვენი ხალხის უშიშროებისა და შემოქმედებითი შრომის გარანტია, მომავლის ურყევი რწმენის საწინდარია.

ძვირფასო ამხანაგებო!

ორივე მოძმე პარტიის მომავალი ყრილობები შეიფასებენ მიღწეულ შედეგებს და განიხილავენ მომდევნო წლებში ჩვენი ქვეყნების განვითარების მთავარ მიმართულებებს. ჩეხოსლოვაკიის მშრომელები ღიტაკებითი და გულწრფელი სიხარულით მიესალმებიან საბჭოთა კავშირის წარმატებებს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, კომუნიზმის მშენებლობის კურსის განხორციელებაში, რომელიც XXIV ყრილობამ შეიმუშავა. ამ მიღწევაში ჩანს ხალხის ნდობა, მხარდაჭერა პოლიტიკისა, რომელსაც ადგენან პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი და პოლიტბიუროო გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის — თქვენი პარტიის, საბჭოთა ხალხის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის მეთაურობით. სულითა და გულით გიღლიცავთ თქვენ, ძვირფასო საბჭოთა მეგობრებო, მთელ საბჭოთა ხალხს ამ ღირსშესანიშნავ წარმატებებს.

ჩვენს პარტიასა და ჩვენი სამშობლოს მშრომელთა ფართო ფენებს, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ხალხს, შეუძლიათ ითამაყონ გაწეული მუშაობის შედეგებით. უკვე დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ პარტიის XIV ყრილობის მიერ დასახული რთული ამოცანები შესრულდება ყველა მთავარ დარგში, მთელ რიგ დარგებში კი გადაჭარბებითაც შესრულდება. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XV ყრილობის ლოზუნგშია მთელ პარტიასა და მთელ ჩვენს ხალხს ვრაზმავთ XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რაც გამოხატულია პოლობს მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის და ინიციატივის ფართო გაქანებით. და მომდევნო პერიოდისათვის გვინდა დავსახოთ რთული, მაგრამ რეალური ამოცანები. მათს შესასრულებლად დაეყრდნობით განვითარებულ მატერიალურ-საწარმოო ბაზას, ჩვენი ქვეყნის შრომელთა აქტივობას, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან თანამშრომლობას. ჩვენ სულ უფრო მეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებას, იმ საქმიანობის შემდგომ სრულყოფას, რომელსაც ჩეხოსლოვაკია აქტიურად უწყობს ხელს.

ძვირფასო ამხანაგებ-

ჩვენი პარტია, მთელი ჩეხოსლოვაკიელი ხალხი გულწრფელად უჭერენ ხმარს საბჭოთა კავშირის თანამეგდეგრეულ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას. ამიტომ არის, რომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიამ თავის XIV ყრილობაზე სიესებით მოიწონა თქვენი პარტიის XXIV ყრილობის სამშვიდობო პროგრამა როგორც თავისი საკუთარი პროგრამა და ჭეშმარიტებადგვიდა ხელს წყობს მის წარმატებულ რეალიზაციას. დღეს ჩვენ სრული უფლებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ამ მშვიდობისმოყვარულმა პოლიტიკამ დიდი პოზიტიური შედეგები მოიტანა. კერძოდ, სრულიად ევროპის ჰელსინკის თათბირის წარმატებით დამთავრების შემდეგ ევროპაში შეიქმნა უშიშროების უზრუნველყოფისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარების უფრო ხელსაყრელი პირობები. ამას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სოციალისტური ქვეყნების საგარეო-პოლიტიკური თანამშრომლობა და კოორდინირებული მოქმედება, განსაკუთრებით ევროპაზის ხელშეკრულების ფარგლებში. ჩვენ დიდად ვაფასებთ ამ თანამშრომლობას და მიგვაჩნია ჩვენი უშიშროების და მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ერთობლივი ბრძოლის შემდგომ წარმატებათა ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად.

ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ ეს ბრძოლა დაუბრკოლებლად ვერ წარიმართება. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ დედამიწის მთელი პროგრესული, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ძალები მხარდამხარ ახალ წარმატებებს მოვიპოვებთ არა მარტო ჩვენი ქვეყნების განვითარების სფეროში, არამედ მშვიდობისათვის, უშიშროებისა და ურთიერთხელსაყრელი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის ერთობლივ ბრძოლაში. ამასთან ჩვენ ვხელმძღვანელობთ პრინციპით, რომ ეს ბრძოლა მით უფრო წარმატებული იქნება, რაც უფრო ძლიერი და შეკავშირებული იქნება სოციალიზმის მსოფლიოს სისტემა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა.

გთავაზობთ, პატივცემულო ამხანაგებო, სადღეგრძელოს:

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში საბჭოთა ხალხის წარმატებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს — გადამწყვეტ ძალას მთელი მსოფლოს მშვიდობის, უშიშროებისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში!

გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა ხალხების მტკიცე მეგობრობას, ჩვენი მომავალი პარტიებისა და ქვეყნების თანამშრომლობისა და სამოკავშირეო ურთიერთობის შემდგომ განვითარებას!

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტური სისტემისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის შემდგომ განმტკიცებას!

დღეგრძელობას ვუსურვებ სსრ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის ერთგულ და გულწრფელ მეგობარს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს!

დღეგრძელობას ვუსურვებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნიკოლოზ ვიქტორის-ძე პოდგორნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინსა და ყველა ჩვენს საბჭოთა მეგობარს!

იდღეგრძელეთ, ძვირფასო ამხანაგებო!

* * *

ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და გ. ჰუსაკის სიტყვები შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. მათი სიტყვების დროს არაერთხელ გაისმა ხანგრძლივი ტაში.

დარბაზობამ ძმურ, გულითად ვითარებაში ჩაიარა.

(საკდესი).

სურინამის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ბატონ ჰენკ არონს

მიიღეთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, გულწრფელი მოლოცვა სურინამის დამოუკიდებლ[illegible] ... ეროვნული ... ...

პარტიული ცხოვრება

ხარისხი — მთავარი პროგლემა

საანგარიშო მოხსენების შემდეგ პირველი სიტყვა ფოლადნობის ოსტატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვ. მეტრიველმა ითხოვა:

— მოგეხსენებათ, თუ რაზედან სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ ჩვენი სამეფული მეტალურგია. როგორც სკკპ XXIV ყრილობამ დაადგინა, მეცხრე ხუთწლედის ბოლოსათვის ფოლადის წარმოება 142-152 პროცენტით უნდა გაიზარდოს. ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ფართოდ ვმონაწილეობთ ჩვენც — რუსთაველი მეტალურგები...

კონფერენციის დელეგატმა თქვა, რომ 1974 წლის დასაწყისიდან მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი პირველობას არ თმობს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და უკვე მეშვიდედ გახდა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის კვარტალური გარდამავალი წითელი დროშის მფლობელი.

ვ. მეტრიველმა რუსთაველ მეტალურგთა შემოქმედებითი და ენერგიული შრომით ახსნა ის ფაქტიც, რომ საქართველოს მრეწველობის მუშაკთა ნაკისრი ვალდებულების — 200 მილიონი მანეთის ზეგეგმიანი პროდუქციის ანგარიშში მეტალურგებმა უკვე შეიტანეს 6 მილიონამდე მანეთის საკუთარი წარმოების პროდუქცია, რაც მთელი წლისათვის ნაკისრი ვალდებულების თითქმის ორმაგად განადღებას ნიშნავს.

თუ როგორ დაადწია საწარმომ თავი ხანგრძლივ ჩამორჩენას და როგორ ნადგა უკანასკნელ წლებში მოწინავეთა რიგებში, აგრეთვე რა სიახლე დანერგა პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობაში, ამაზე გაამახვილა ყურადღება მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა კ. ბაქრაძემ საანგარიშო მოხსენებაში, აგრეთვე სიტყვით გამოსულმა სხვა დელეგატებმა.

როგორც კონფერენციაზე ითქვა, მეტალურგმა კომუნისტებმა საჭირო დასკვნები გამოიტანეს ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებიდან პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, ამასთან ქარხნის კოლექტივმა მთლიანად დაუჭირა მხარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ამ ბოლო წლებში აღებულ კურსს რესპუბლიკაში სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის. ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელ ლმ ბრძოლამ თავისი შედეგიც გამოიღო.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ შესამჩნევად გაძლიერდა წარმოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა. საანგარიშო პერიოდში პარტიული სამეფულო ფოლადის წარმოება 142-152 პროცენტით უნდა გაიზარდოს. ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ფართოდ ვმონაწილეობთ ჩვენც — რუსთაველ მეტალურგები...

...ათასობით ტონა კოქსი, თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები და სხვა პროდუქცია აწარმოეს ქართველმა მეტალურგებმა საანგარიშო პერიოდში, რომელიც ძირითადად ორ წელიწადს მოიცავს. ამ ბოლო ხანს მკვეთრად გაუმჯობესდა საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები. მაგალითად, ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ დონეს შრომის ნაყოფიერების ზრდის მხრივ მეტალურგებმა ჯერ კიდევ წლეულს აგვისტოში მიაღწიეს. მაგრამ გადაწყვეტილებაა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი გეგმა 21 დეკემბრისათვის გაანადღოს, ხოლო 25 დეკემბრისათვის პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებაც უპატაკოს სამშობლოს.

— მაგრამ ამ საერთო წარმატებებს მიღმა, — როგორც კონფერენციაზე ქარხნის დირექტორმა ო. სულთაძემ აღნიშნა, — ჯერ კიდევ მრავალი ნაკლოვანებები იმალება. ვერ მივაღწიეთ სასურველ შედეგებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში. ამ მხრივ საყვედურია ეთქმით კოქსქიმიური, ბრძმედის, მარტენის, საგლინავი და მილსაგლინავი საამქროების სამეურნეო და პარტიულ ხელმძღვანელებს იმის გამო, რომ ისინი საგანგებო ზომებს არ იღებენ ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამის შედეგია, რომ წლეულს 10 თვეში წუნდებული პროდუქციის გამოშვებით ქარხანამ 763 ათასი მანეთი იზარალა.

როგორც ცნობილია, მეათე ხუთწლედი ხარისხის ხუთწლედი იქნება. რუსთაველმა მეტალურგებმა ვალდებულება იკისრეს, რომ მთელი პროდუქციის ერთ მესამედს ხარისხის ნიშნით გამოუშვებენ. ქარხნის დირექტორმა, აგრეთვე მილსაგლინავი საამქროს უფროსმა რ. თხელიძემ, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ შ. ბარბაქაძემ და სხვებმა ვრცლად ილაპარაკეს იმ ტექნიკური ღონისძიებების შესახებ, რაც ამჟამად დასახულია ქარხანაში პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მომხსენებელმაც და კამათის მონაწილეებმაც (ა. კობერიძე — ბრძმედის საამქროს მუშა, თ. ბერიშვილი — ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი, ს. ავანთიძე—რკინიგზის საამქროს მემანქანე) თავიანთ გამოსვლებში შეჩერდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე წარმოებაში მუშათა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს მუშაობის შესახებ. — ეს დოკუმენტი, თქვეს მათ, — მეტად დროულია, მისი განხორციელება რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაშიც გამოიღებს გარკვეულ შედეგს.

დიდი სჯა-ბაასი გაიშალა იმის თაობაზეც, თუ როგორ სრულდება მეტალურგიული ქარხნის რეკონსტრუქციის პროგრამა. ამ მხრივ სერიოზული მუშაობაა გაწეული. მაგრამ ტემპი საკმარისი როდია. 10 თვეში სამშენებლო სამუშაოების გეგმა მხოლოდ 78 პროცენტით არის შესრულებული(?!).

შეეხო რა რუსთაველ მეტალურგთა ამოცანებს, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. კობახიძემ აღნიშნა, რომ წლის ბოლომდე დარჩენილი ყოველი დღე მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული. აქედან კი ყველაფერი უნდა ვიღონოთ პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, პარტიულმა ორგანიზაციამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობაში ახალი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებულად დანერგვას. სკკპ XXV ყრილობას ღირსეულად უნდა შეეგებოთ!

— ერთერთ მთავარ ამოცანად მეტალურგმა კომუნისტებმა უნდა დაისახონ რენტაბელური მუშაობის მიღწევა, იმ ანგარიშით, რომ მეათე ხუთწლედის ბოლოსათვის წმინდა საწარმოო მოგებამ ათობით მილიონი მანეთი შეადგინოს...

პარტიულმა კონფერენციამ მიიღო ღონისძიება, რომელშიც აისახა რუსთაველ მეტალურგთა უახლოესი ამოცანები და ამ ამოცანების შესრულების კონკრეტული წინადადებები.

მეტალურგთა პარტიული კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგემ ბ. ბარსუკოვმა.

გამამართა ახლადარჩეული პარტიული კომიტეტის სხდომა, რომელმაც მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნად კვლავ კ. ბაქრაძე აირჩია, მოადგილეებად — ვ. ტრაპაიძე და დ. ბარათაშვილი.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ჯარტიულ კონფერენციაზე

25 ნოემბერი

ამბები • ფაქტები

საკლესი და უცხოეთის ბრესის სააგენტოები იტყობინებიან

ნინდაუსელავი პოლიტიკა

ნიუ-იორკი. (საკლესი). შეერთებული შტატების საქმიანი წრეები უკმაყოფილებას გამოთქვამენ ხელოვნური დაბრკოლებების გამო, რომლებიც საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის განვითარების გზაზე შეიქმნა.

ჟამების რა ამ წრეების განწყობილებას, გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯორნალი“ წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი პოლიტიკის შედეგად საბჭოთა კავშირი საგარეო-სავაჭრო მეკვეთებს აძლევს სხვა ინდუსტიულ ქვეყნებს, უწინარეს ყოველისა დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და იაპონიას. სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი ზიანს აყენებს უწინარეს ყოველისა თვით შეერთებულ შტატებს.

ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, რომ ორი ქვეყნის ფართო საქმიანი თანამშრომლობის მოგვიანებას უწინარეს ყოველისა ხელს ის უშლის, რომ ამერიკის მხრეს არ სურს „ცივი ომის“ დროიდან შემორჩენილი სატარიფო ბარიერების გაუქმება და კონგრესი უარს ამბობს სანქცია მისცეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობათა „სახელმწიფო დაკრედიტებას. ასევე მნიშვნელოვანი ბარიერია სოციალისტური ქვეყნებისათვის „სტრატეგიული საქონლის“ მიყიდვა, რომლის ნარჩთალრიცხვა, ამერიკელ ბიზნესმენთა აზრით, მეტად დიდია. შეეთანხმებული შტატების ასეთი პოზიციის შედეგად, ხაზს უსვამს გაზეთი „ჯორნალ ოფ კომერსი“, ამერიკის კომპანიებმა დაკარგეს ძალიან ბევრი საბჭოთა შეკვეთა.

□

ვითარება განგლადეშში

ტოკიო. (საკლესი). როგორც უცხოეთის სააგენტოების ცნობები მოწმობენ, ვითარება ბანგლადეშში კვლავ მერყევი და საშიშია. ცრუ მემარცხენე ელემენტებმა და უწინარეს ყოვლისა ახლახან საპატიმროებიდან გამოსულმა ეროვნული სოციალისტური პარტიის ლიდერებმა გააჩაღეს ფართო პროპაგანდა ჯარისკაცთა მასებს შორის, მოუწოდებენ მათ არ დამორჩილონ ოფიცრებს. მთელ რიგ ქალაქებში, მათ შორის დაკაში, ჩითაგონში, ბოგრში, კჰულნსა და კომილაში, მათ შეძლეს პროვოკაციულად გამოეწვიათ შეიარაღებული შეტაკებანი არმიაში. მარტო რესპუბლიკის დედაქალაქში დახოცეს რამდენიმე ათეული ოფიცერი.

აქტიურად მოქმედებენ აგრეთვე მემარჯვენე და რელიგიურ-თემური ძალები. ემზადებიან რა ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის, ისინი აგრეთვე შუმაობას ეწევიან არმიაში, მის ფარგლებს გარეთ კი აკუწუწებენ მემარჯვენე ელემენტებისა და ყველა იმით ეროვნულ ბლოკს, ვინც უარს ამბობს მოუმზრობლობის პოლიტიკასა და იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან თანამშრომლობაზე.

ამის შედეგად არმია ახლა რამდენიმე დაჯგუფებად არის გათიშული. ყოველ წუთს შეიძლება მოხდეს შეტაკებანი მათ შორის.

ქვეყანაში კვლავ სამხედრო წესებია. დაკაში მოქმედებს კომენდანტის საათი.

ინდოეთი

ბომბეი. (საკლესი). ინდოეთის ეროვნული ორგანიზაციათა და მოძრაობათა წარმომადგენლები, მთლიანად ვუჭერთ მხარს და ვიწონებთ სტოკჰოლმის ახალ მოწოდებას და ვაცხადებთ, რომ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ბამაჩაროთ მსოფლიო კამპანია ბამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღებისათვის 1976 წლის მაინცდამაინ.

ვაცხადებთ სტოკჰოლმის ახალი მოწოდების მხარდასაჭერად ხელმოწერათა მასობრივ შეგროვებას, რათა ხალხთა მტკიცე მოთხოვნა — შეწყდეს გამალებული შეიარაღება და განხორციელდეს განიარაღება — ყურად იღოს ყველა მთავრობამ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ.

მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ პარტიას, პროფკავშირებს, ქალთა, გლეხთა, ახალგაზრდობის, რელიგიურ, კოოპერატიულ, კულტურულ, სპორტულ და სხვა ორგანიზაციებს, ჩვენი ქვეყნების ყველა უბრალო ადამიანს მხარი დაუჭიროონ მშვიდობისათვის ამ ახალ მოძრაობას და აქტიური მონაწილეობით უზრუნველყონ მისი წარმატება.

ჩვენ მოვუწოდებთ მოეწყოს მიტინგები და კონფერენციები, დემონსტრაციები და მარშები იმ მოთხოვნების მხარდასაჭერად, რომ შეწყდეს გამალებული შეიარაღება და განხორციელდეს განიარაღება; ფართოდ იქნას გამოყენებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, გამოუშვან პლაკატები და ფურცლები, წარმომადგენლობითი დელეგაციები გაგზავნონ მთავრობებსა და პარლამენტებში, აგრეთვე განახორციელონ სხვა ღონისძიებები სპეციფიკური პირობებისა და შესაძლებლობების მესაბამისად.

ყველამ უნდა შეიგნოს, რომ განიარაღებისათვის, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლა უკეთესი ცხოვრებისათვის, თვით სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ბრძოლაა.

თვითეული ადამიანი პასუხს აგებს თანამემამულეებისა და მომავალ თაობათა წინაშე ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებაში შეტანილი წვლილისათვის.

მაშ გავერთიანდეთ გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, განიარაღებისათვის ამ ბრძოლაში!

ბელგრადი

**ბელგრადი. (საკლესი). ბელგრადის ოლიმპიადა-ოლიმპიადა. ბელგრადელ ოლიმპიელთა ბანაკი ბელგრადელ ოლიმპიელთა ბანაკ-ბანაკ.

ᲔᲣᲜᲯᲔᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲨᲘ

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲜᲐᲚᲑᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲣᲗᲮᲔ; ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲚᲑᲝᲛᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲨᲔᲛᲬᲧᲠᲐᲚᲘ ᲒᲐᲒᲐᲡᲪᲔᲡ ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲚᲔᲒᲝᲕᲔᲚᲛᲐ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲛᲐ „ᲬᲧᲐᲚᲬᲧᲐᲚᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲓᲐᲐᲙᲚᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲬᲘᲜᲐ ᲒᲕᲠᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲤᲘᲨᲘ ᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲝᲓᲐ. ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲛᲬᲕᲐᲚᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲜᲘ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ, ᲛᲣᲨᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ.

ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲡ ᲮᲐᲚᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲗᲔᲝᲛᲣᲠᲐᲖ ᲒᲝᲠᲒᲘᲫᲔ-ᲫᲔ ᲑᲐᲓᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲘᲡ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲘᲗ ᲘᲧᲝᲤᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲘᲫᲐᲖᲔ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲗᲐ ᲓᲐᲮᲕᲔᲕᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲣᲨᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ.

ᲛᲐᲛᲐᲪᲝᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲥᲙᲐᲪᲝᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲤᲣᲐᲚᲤᲐᲚᲔᲑᲣᲚᲗᲐ გადარჩენასს ვაქცევთ, მამაცობის და თავგანწირვისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მადლით „წყალწალებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოვა საბჭოთა არმიის რიგითი მებრძოლი სადირბაი მამასალის-ძე დუნაბაევი და გრიგოლეთის მაშველი საგუშაგოს მშველელი ᲮᲐᲚᲐᲛᲞᲐᲠᲘ ვალერიანის-ძე სალუქვაძე.

კომკავშირელმა ხ. დუნაბაევმა დაინახა, რომ ველოსიპედით ხიდზე გასული ხუთი წლის ბიჭუნა, მდინარეში ჩავარდა. წყლის სიღრმე აქ 3 მეტრს აღემატებოდა. ჯარისკაცი მყისვე გადაეშვა წყალში და გადაარჩინა ბავშვი.

1975 წლის 26 და 30 ივლისს გრიგოლეთის მაშველი საგუშაგოს მშველელმა ხ. სალუქვაძემ პირადად გადაარჩინა ორი კაცი, რომლებიც ზღვაში იხრჩობოდნენ, ხოლო აგვისტოში საგუშაგოს სხვა მაშველებთან ერთად მონაწილეობა მიიღო კიდევ ხუთი დაუდევარი მცურავის გადარჩენაში.

(საქინფორმი).

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

ᲰᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). ქალაქის კულტურის სასლის აგიტმასტვრულმა ბრიგადამ 60-მდე საველე კონცერტი, შინაარსიანი ლექცია-მოსსენებები მიუძღვნა ხუფოლედის შრომის გმირებს. დიდად პოპულარულია მეტალურგთა კულტურის სასსლის, კაცსისა და წირავალოს სასოფლო კულტურის სახლების აგიტმხატვრული ბრიგადები.

Ო. ᲜᲘᲫᲐᲒᲐᲫᲔ.



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲓᲦᲔᲡ. ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲙᲣᲗᲮᲘ.

Ზ. ᲓᲐᲗᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲐᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲝ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲒᲐᲚᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲔ-6 ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ. 24 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲟᲘᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲡᲘᲜᲯᲐ ᲜᲐᲛᲣᲨᲐᲕᲠᲔᲑᲘ „ᲑᲐᲛᲘ. ᲬᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ“ (ᲝᲠᲙᲣᲢᲡᲙᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲘᲐ), „ᲛᲭᲕᲔᲚᲔᲑᲘ-ᲛᲝᲗᲔᲡᲕᲔᲚᲔᲑᲘ“ (ᲛᲝᲚᲓᲐᲕᲗᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ), „ᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲥᲔᲓᲚᲝ ᲡᲐᲐᲛᲘᲠᲝᲓᲐᲜ“ (ᲒᲝᲠᲙᲘ), „ᲕᲣᲨᲔᲜᲙᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲬᲐ“ (ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ), „ᲥᲔᲠᲩᲘᲡ ᲪᲔᲪᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ“ (ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔ), „ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲝᲠᲘᲜᲘ ᲐᲪᲔᲗᲔᲑᲔᲜ“ (ᲚᲔᲢᲕᲘᲐ), „ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ“ (ᲣᲖᲑᲔᲙᲔᲗᲘ), „ᲧᲕᲐᲕᲡᲐᲪ ᲰᲧᲕᲡ ᲛᲔᲠᲗᲘ“ (ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ).

ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ“ (ᲗᲣᲠᲥᲛᲔᲡᲔᲗᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ), „ᲛᲔᲒᲝᲡᲢᲔᲜ ᲩᲮᲘᲩᲝᲠᲘ“ (ᲩᲝᲚᲒᲝᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲘᲐ), „ᲩᲠᲓᲚᲝᲗᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲚᲘ“ (ᲡᲛᲝᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ), „ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲖᲔ“ (ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ) ᲑᲝᲚᲝ ᲡᲠᲘᲐᲑᲘ. ᲢᲔᲚᲔᲥᲐᲠᲜᲔᲑᲖᲔ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲠᲘᲗᲔᲕᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲜᲐᲬᲐᲛᲝᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ. ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲪᲘᲢᲐᲚᲘ, ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲛᲮᲘᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲣᲖᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲐᲚᲘᲤᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲛᲣᲨᲐᲕᲠᲔᲑᲘ „ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ“ (ᲛᲔ-12 ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲔᲝᲠᲔᲜᲘ), ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲐᲛᲬᲧᲕᲔᲡ — ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘᲡ ᲡᲯᲐᲛ, ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ „ᲝᲒᲝᲜᲘᲙᲘᲡ“ ᲞᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲔᲙᲣᲗᲕᲜᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲯᲘᲠᲗᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲯᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲘᲚᲘ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲒᲘᲠᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲯᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲘᲚᲘ ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘ